

ვადების ქვეყანა– ევროკავშირმა საქართველოს € 45 მილიონი გამოუყო

✘ ევროკავშირმა საბჭომ საქართველოსთვის €45 მილიონი გამოყოფის გადაწყვეტილება დაამტკიცა. თანხა საქართველოს მაკროეკონომიკურ დახმარებას მოხმარდება.

„ეს დახმარება მოხმარდება საქართველოს ფინანსურ საჭიროებებს, ხელს შეუწყობს ეკონომიკურ სტაბილურობის და სტრუქტურული რეფორმების დღის წესრიგის განხორციელებას“, – ნათქვამის დღეს გავრცელებულ განცხადებაში.

დახმარებას საქართველო გარკვეული ფინანსური პირობებით მიიღებს. ეს მოიცავს სტრუქტურულ რეფორმებს, რომელთა შესრულების ვადები წინასწარ იქნება განწერილი საქართველოს მთავრობისა და ევროკომისიის მემორანდუმში.

განცხადებაში აღნიშნულია, რომ საქართველოს ეკონომიკა, არსებული დეფიციტისა და მაღალი საგარეო ვადის გამო, მოწყვდილია. ეს არის ევროკავშირის დახმარების მესამე პაკეტი, რომელსაც საქართველო 2008 წლის რუსეთთან კონფლიქტის შემდეგ მიიღებს.